

**ქ.ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხებისა და სოფელ ლაჩთ - შეუზნის მისასვლელი გზის მოწყობა - რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვა ტექნიკური დავალება**  
**სანიაღვრე ქსელისა და მისასვლელი გზის ზოგადი აღწერა-დახასიათება**

ქალაქში არსებული სანიაღვრე არხები ნაწილი გრუნტისაა, ნაწილი ბეტონის, რომელიც დაზიანებულია და ვერ უზრუნველყოფს წვიმისა და გრუნტის წყლის ნაკადის გატარებას განსაკუთრებით წყალუხვობის დროს, ადგილი აქვს კერძო საკარმიდამო ნაკვეთების შეტბორვას და დაზიანებას საჭიროა ქალაქის სანიაღვრე სისტემების

ანალოგიური რთული მდგომარეობაა სოფელ ლაჩთა - შეუზნის მისასვლელ დაზიანებულ, ქანობიან გზაზე, რის გამოც გადაადგილება შეუძლებელია როგორც ავტომობილთა ასევე ქვეითთათვის, საჭიროა გზის სრული რეაბილიტაცია და ბეტონის საფრის მოწყობა ნაპირდამცავი ნაგებობებისა და სანიაღვრე არხების გათვალისწინებით.

ქ. ონში საორიენტაციოდ მოსაწყობი სანიაღვრე სისტემების ჩამონათვალი

1.	არტუანის უბანი- (ნინო ჯაფარიძის სახლიდან ებრაელთა სასაფლაომდე, გოგი ჯაფარიძის სახლის თავიდან ბოლთის ფერდობებამდე)	900 მ
2.	სოფელ ღარის გადასახვევიდან საავადმყოფომდე	600 მ
3.	ბაზოვიდან ეზოებზე წმინდა ნინოს ქუჩის მახლობლად	280მ
4.	სასაზღვრო პოლიციიდან ყოფ.გეოლოგების ეზომდე	280მ
5.	ავთო ლეზანიძის სახლიდან ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიამდე	310მ
6.	ჩაჩაშვილის დასაწ. (ვალეკო რამძამის სახლიდან) ყოფილ სახერხამდე	300მ.
7.	გეოლოგებიდან ყოფილ სახერხამდე	630მ
8.	ჩაჩაშვილის ქუჩიდან (დათო რაზმაძის სახლს ზემოთ) ყოფილ სახერხამდე	480მ.
9.	ივანე ბაღაშვილი სახლიდან შეერთება	70მ
10.	საავადმყოფოდან სადგურამდე	100მ.
11.	ჩაჩაშვილის ქუჩიდან სტადიონის გავლით სასამართლომდე	800მ.
12.	სასტუმროს მიმდებარედ ჩამომავალი ღელე	100მ.
13.	ყაზბეგის ქუჩიდან ქაფიანიძის ქუჩამდე	270მ.
14.	ბოლთიდან დგვარელის ქუჩაზე გამავალი არხი სორტუანის დასახლებამდე	200მ.
15.	მოედნის ჩიხი #1	50მ
16.	წერეთლის ქუჩაზე მარჯვენა მხარეს	150მ.
17.	წერეთლის ქუჩაზე მარჯვენა მხარეს ლეზანიძის სანაპირომდე	400 მ.

სულ დაახ. **6200** მეტრი

**საპროექტო კომპანიამ დეტალურად უნდა შეისწავლოს როგორც ქალაქის სანიაღვრე სისტემა ასევე სოფელ ლაჩთა შეუზნის მისასვლელი გზის მდგომარეობა და განსაზღვროს:**

1. გრუნტის სანიაღვრე არხებზე ანაკრები ბეტონის არხის მოწყობისა უცილებლობა და რაოდენობა.
2. არსებული ბეტონის სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის მოცულობა.
3. დამატებითი სანიაღვრე არხების მოწყობის აუცილებლობა.
4. ქანობიან ადგილებში ნაპირდამცავი და წყალამრიდი სისტემის მოწყობის მიზანშეწონილობა
5. გზის ვაკისის მდგომარეობა

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა ითვალისწინებს: - სამუშაოს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობის და სამუშაოთა მოცულობის აღწერას; - მუშა ნახაზების მომზადებას; - არსებული ნორმების გათვალისწინებით და ხარჯთაღრიცხვის შედგენას, მიმდინარე საბაზრო ფასების შესაბამისად; - სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით სრული საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენას და წარმოდგენას ელექტრონულ ვერსიითა და ნაბეჭდის სახით, (სამ ეგზეპლარად); დამატებითი მოთხოვნა:

საპროექტო სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, ეკონომიური ვარიანტის შერჩევით. - მომსახურება გაწეული უნდა იქნას საქართველოში დადგენილი შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილების შესაბამისად.

მომსახურება ითვალისწინებს ქ. ონში სანიღვრე სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას.

## 1. პროექტის შემადგენლობა:

- განმარტებითი ბარათი
- გეოლოგიური კვლევა
- გრაფიკული ნაწილი-ნახაზები
- სამუშაოთა მოცულობები, ხარჯთაღრიცხვები
- ტექნიკური სპეციფიკაციები
- 

## 2. პროექტის შინაარსი:

პროექტის განმარტებით ბარათში აღწერილი უნდა იყოს არსებული მდგომარეობა და საპროექტო გადაწყვეტილებები (უნდა დაერთოს საჭირო ანგარიშები, სქემები, ცხრილები, ფოტომასალა და ა.შ.) მოცემული უნდა იყოს სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოთა ჩამონათვალი, მოცულობები და მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები, საორიენტაციო კალენდარული გრაფიკი, საჭირო მანქანა-მექანიზმები. მითითებული უნდა იყოს გამოყენებული სამშენებლო ნორმები, წესები და გაანგარიშების მეთოდები.

მითითებული უნდა იყოს მომხმარებელთა რაოდენობა, საპროექტო სიმძლავრეები (წყალმოთხოვნილება, წყლის ქსელების, სანიაღვრეების საანგარიშო ხარჯები.)

საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ადაპტაციის ღონისძიებები („შშმ პირთათვის სივცის მოწყობისა და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად),

სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვები და სატენდერო სამუშაოთა მოცულობების ცხრილები შედგენილი უნდა იყოს დამკვეთთან შეთანხმებული ფორმით (როგორც რესურსული მეთოდით, ასევე სატენდეროდ, გამსხვილებული ფორმით)

ტექნიკური სპეციფიკაციები ცალკე უნდა დაერთოს პროექტს და უნდა მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის / კონტრაქტორისათვის ზოგად მითითებებს და რეკომენდაციებს, ასევე დეტალურ სპეციფიკაციებს ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობებისათვის.

პროექტის გრაფიკული ნაწილი (სამშენებლო ნახაზები) შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად. სათანადო მასშტაბებში დეტალიზაციით. გრაფიკული ნაწილი უნდა მოიცავდეს ობიექტის სიტუაციურ გეგმას, დეტალურ კონსტრუქციულ ნახაზებს,

მოცემული უნდა იყოს სამუშაოთა მოცულობებისა და მასალათა სპეციფიკაციის ცხრილები. პროექტს უნდა ახლდეს რენდერები.

ნახაზებზე, სამუშაოთა მოცულობებში, სპეციფიკაციებში და ხარჯთაღრიცხვებში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში ერთმანეთთან.

### **სრული საპროექტო დოკუმენტაციის შინაარსი**

- ობიექტის სიტუაციური გეგმა ქალაქის ინფრასტრუქტურის ჩვენებით (1:500 ან 1:1000)
  - სამ განზომილებიანი მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია
  - გრძივი და განივი ჭრილები (1:50 ან 1:100)
  - წყლის გადაყვანის ორგანიზების ჩვენება (1:50 ან 1:100) კვანძები, დეტალები
  - კედლების, ტიხრების, ტიპების ჩვენება (1:50 ან 1:100) ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (1:5 , 1:10, :20) სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები
  - კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (1:25, 1:50, 1:100)
  - სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები
- 
- განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება დაგეგმარებული ქსელების დახასიათება. აქვე მითითებული იქნება როგორც მთლიანად ობიექტის, ასევე ცალკეული ჩამონადენების რაოდენობა.

### **მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი:**

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო, მატერიალურ და შრომით რესურსებზე, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო ფართებზე მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში მოყვანილი იქნება აგრეთვე აუცილებელი უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებანი.
- ობიექტის მშენებლობის კალენდარული და ფინანსური გრაფიკი.

### **სპეციფიკაციების ნაწილი:**

- გამოყენებული სამშენებლო მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობების და დანადგარების ხარისხობრივი მახასიათებლების დეტალური აღწერა;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროცესების თანმიმდევრობითი დეტალური აღწერა ტექნოლოგიური თავისებურებების მითითებით, მათი შესრულების ხარისხობრივი კონტროლის განხორციელების მიზნით;
- ტესტირებას დაქვემდებარებული სამშენებლო მასალების, პროცესების და მოწყობილობა-დანადგარების გამოსაცდელი რეჟიმის და თანმიმდევრობის დეტალური აღწერა;
- სპეციფიკაციების უნდა დამუშავდეს საპროექტო დოკუმენტაციის ყველა ზემოთჩამოთვლილი ნაწილისათვის.

### **სახარჯთაღრიცხვო ნაწილი:**

- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტის სატიტულო სიას, გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალს და ინფორმაციას დანარიცების გაანგარიშების წესის შესახებ (გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება, ტერიტორიის მომზადება, დროებითი შენობა-ნაგებობები და სხვა);
- მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვა;
- საობიექტო ხარჯთაღრიცხვები;
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული რესურსული მეთოდით.

#### ექსპლუატაციის პროექტის ნაწილი:

- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, დასუფთავების მომსახურებაზე და სანიტარულ უზრუნველყოფაზე.
- ნაგებობების სავარაუდო ვარგისიანობის პერიოდის განსაზღვრა კაპიტალურ შეკეთებამდე.

ინფორმაცია მიწის გადასახადის და სხვა საბიუჯეტო მოსაკრებლების საშუალო წლიური ხარჯების შესახებ.

- პროექტის ავტორი ვალდებულია გაწეულ მომსახურებაზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებდე წარმოდგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიური“-ს ან სხვა აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა-ინსპექტირების ანგარიში (დასკვნასთან-ინსპექტირების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის-ინსპექტირების ანგარიშის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).
- მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების მიმდინარეობის მთელ პერიოდში უსასყიდლოდ გაწიოს საავტორო ზედამხედველობა და მონაწილეობა მიიღოს სამშენებლო ნორმებით და წესებით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტების შედგენაში.

მიმწოდებელი ვალდებულია პროექტირების პროცესში წარმოშობილი დამატებითი საკითხები შეათანხმოს ონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურთან და სამხარეო საზდამხედველო სამსახურთან (შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი“).

შესასრულებელი სამუშაოების საორიენტაციო ჯამური ღირებულებაა 1 200 000 (800 000. სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, 400 000 სოფელ ლაჩთა-შეუბნის გზის რეაბილიტაცია) ლარი.